

პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის უფლება-მოვალეობები
საგამოძიებო ეტაპზე

ნათია ხოსიტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის
შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, სამართლის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ხოსიტაშვილი

2021 წელი

აბსტრაქტი

2009 წელს, ხანგრძლივი სამუშაო პროცესის შედეგად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი. სწორედ ახალმა საპროცესო კოდექსმა ჩაუყარა საფუძველი ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების დანერგვასა და გაძლიერებას ქართულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, როგორებიცაა: შეჯიბრებითობა, საჯაროობა, მხარეთა თანასწორობა, მტკიცებულებათა უშუალო და ზეპირი გამოკვლევა, ბრალდებულის უფლებათა პატივისცემისა და სხვა. გარდა ამისა, კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იყო შეჯიბრებითი საპროცესო მოდელის დანერგვა, რომლის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბრალდებისა და დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეთ მეტ-ნაკლებად თანაბარი შესაძლებლობები და ინსტრუმენტები, რათა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეძლონ ეფექტიანი გამოძიების წარმოება.

სწორედ ახალმა შეჯიბრებითმა მოდელმა გამოკვეთა პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის მნიშვნელოვანი როლი სისხლის სამართალწარმოების პროცესში. პროკურორი არის პროცესის ის სუბიექტი, რომელიც მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებებისა და საპროცესო მდგომარეობის გათვალისწინებით, ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს და წარმართავს გამოძიების მიმდინარეობას.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პროკურორის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის როლის ანალიზი გამოძიების ეტაპზე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით. ხშირად განხილვის საგანია ის, თუ რა უფლებამოსილებები უნდა ჰქონდეს პროკურორს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში. პრაქტიკაში, ხშირად ვაწყდებით პრობლემას, როდესაც ერთმანეთისგან ნათლად არ არის გამიჯნული პროკურორისა და გამომძიებლის უფლებამოსილებები გამოძიების

მიმდინარეობისას. ამასთან, მართალია საპროცესო კოდექსში დეტალურად არის გაწერილი მათი საგამომიებო ფუნქციები და მოვალეობები, მაგრამ ღიად არის დატოვებული ის საკითხი, თუ რა დამოკიდებულებაშია გამომძიებელი პროკურორთან. მათ შორის არსებული სუბორდინაციის ხარისხი უმეტეს შემთხვევაში, სრულად მინდობილია პრაქტიკაზე.

კვლევის საგანს წარმოადგენს სწორედ პროკურორის უფლება-მოვალეობების ანალიზი გამომძიებლის სტადიაზე, პროკურორსა და გამომძიებელს შორის არსებული სუბორდინაციის პრობლემა - გამომძიებლის მიმდინარეობისას პროკურორის საპროცესო ხელმძღვანელობის ხარისხი. კერძოდ ის, თუ რა ინტენსივობით შეუძლია პროკურორს, როგორც პროცესის მხარეს, საგამომიებო მოქმედებებში ჩარევა და ასეთ პირობებში, რა სივრცე რჩება გამომძიებელს, გამომძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. საკვლევი თემა აქტუალური და მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ დღეს არსებულ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სწორედ ეს საკითხები ახდენს უდიდეს გავლენას გამომძიებლის პროცესზე, მის ეფექტიანობასა და ობიექტურობაზე. მეორე მხრივ კი, ზემოაღნიშნული თემები ამ დრომდე არ გამხდარა ფართო ანალიზისა და სიღრმისეული განხილვის საგანი.

წარმოდგენილ ნაშრომში საკვლევი პრობლემების სიღრმისეული შესწავლისა და შეფასების მიზნით გამოყენებული იქნა შედარებითი, ისტორიულ-სამართლებრივი, აღწერით/მიმოხილვითი და შეფასებითი მეთოდები. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია საქართველოს კონსტიტუციის, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის და სხვა ნორმატიულ აქტების ანალიზი. ასევე, ნაშრომის ინფორმაციულ ბაზას შეადგენს, სამართლის პროფესორთა ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, პუბლიკაციები, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა და ინტერნეტ სივრცეში განთავსებული, არასამთავრობო ორგანიზაციათა კვლევები და ანგარიშები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პროკურორი, გამომძიება, გამომძიებელი, საგამომიებო სისტემა, პროკურატურა.

Abstract

In 2009, as a result of a long working process, the Parliament of Georgia adopted a new Code of Criminal Procedure. The new Code of Procedure laid the foundation for the introduction and strengthening of important principles in Georgian criminal justice, so that there is a publicity, equality of arms and adversarial principle, direct and oral examination of evidence, respect for the rights of the accused, etc. In addition, one of the important innovations of the Code was the transition from the Inquisition to the adversarial procedure model, which serves the purpose of equal rights and obligations to independently obtaining and examining evidence that proves the guilt or supports the defence.

The purpose of the presented paper is to analyze the role of the prosecutor as a state prosecutor at the investigation stage, according to the criminal procedure legislation. Among countries with legal traditions and practices, the role of the state prosecutor in the criminal investigation is often the subject of discussion. In practice, we often face a problem when the powers of the prosecutor and the investigator is not clearly separated from each other during the investigation. However, the Code of Procedure does not clearly define the roles and status of the investigator and the prosecutor in the investigation process and the intensity of the subordination between them. The latter, in many cases, is entrusted to practice.

The subject of the research is the analysis of the rights and responsibilities of the prosecutor at the stage of the investigation, the problem of subordination between the prosecutor and the investigator - the quality of procedural guidance of the prosecutor during the investigation. In particular, with what intensity can the prosecutor, who is at the same time a party to the process,

intervene in the investigative actions and what space remains for the investigator to conduct the investigation thoroughly, fully and impartially.

In the present article, I used comparative, historical-legal, descriptive and evaluative research methods for in-depth study and evaluation of the research problem. In the process of working on the paper, I analyzed The Constitution of Georgia, criminal procedure legislation, the Organic Law of Georgia on the Prosecutor's Office and other normative acts. Also, the information base of the paper includes the papers of law professors, scientific articles, publications, educational-scientific literature and various researches and reports published in the Internet space.

Key Words: Prosecutor, Investigation, Investigator, Investigative System, Prosecutors Office.

მადლობა

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ ზაზა მეიშვილს, კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვისა და რეკომენდაციებისთვის.

ასევე დიდი მადლიერება მინდა გამოვთქვა ჩემი ოჯახის წევრების, ახლობლებისა და მეგობრების მიმართ, რომლებიც ყოველთვის გვერდში მდებნენ და სჯეროდათ ჩემი.

სარჩევი